

499-962-1

7-251

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ნინო ჯემალის ასული შარაშენიძე

პირველი სერიის მფარვეთა
ფორმოებრივი და ფუნქციური ცვლილებების
დათარიღებისათვის ქართულში

სპეციალობა 10.02.01 — ქართველური ენები

ავტორეფერატი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი
1998
საბჭოთა № 55
16 04 1998

499-962-1 -1620-
7-251

შარაშენიძე ნ.

წილობრივი ხელის ჩეკი
და ფუნქციური
ცვლილებებისათვის
ქართულში

ნაშრომი შესრულებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **კორნელი დანელია**

კონსულტანტი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ზურაბ ჭუმბურიძე**

საბჭოს ექსპერტი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ელენე ბაბუნაშვილი**


ოფიციალური ოპონენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ავთანდილ არაბული**
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **რამაზ ქურდაძე**

წამყვანი ორგანიზაცია — სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი

დისერტაციის დაცვა შედგება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს P.10.02. C №6 სხდომაზე 1998 წლის "13" აპრილი, 16⁰⁰ სთ-ზე. მისამართი: 380028, თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი, 1.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში (მაღლივი კორპუსი) ავტორეფერატი დაიგზავნა 1998 წლის 13/4

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი, ფილოლ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი


გ.ი. ნიბახაშვილი

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

ნაშრომის აქტუალობა. ენის ისტორიის სრული კურსის შედგენისათვის აუცილებელია ქართული ენის განვითარების თითოეული ეტაპის ღრმად შესწავლა. ძველი და ახალი ქართულის ინტენსიურ კვლევასთან ერთად მნიშვნელოვანი საქმეა საშუალო პერიოდის ანუ გარდამავალი ხანის (XII-XVIIIსს.) ქართული ენის საფუძვლიანი გამოკვლევაც. ამ პერიოდის ქართულისათვის დამახასიათებელია თავისებური წარმოებაც და ძველ და ახალ ფორმათა თანაარსებობაც. ამასთანავე ცვლილებანი ერთბაშად არ მომხდარა არც დროის თვალსაზრისით და არც ენის ყველა რგოლს შეხებია იგი ერთგვაროვნად. ცვლილების არსისა და ხასიათის გარკვევასთან ერთად მნიშვნელოვანია ფორმათა შენაცვლების ქრონოლოგიის დადგენაც, რაც ენის ისტორიის საყრდენს შეადგენს. კონკრეტული საკითხების დამუშავების გარეშე ეს, რა თქმა უნდა, ვერ მოხერხდება.

ნაშრომის მიზანი. ცვლილების პროცესი საერთოდ დამახასიათებელია ენისათვის. საშუალო ქართული ამ მხრივ განსაკუთრებულია. ამიტომ ყოველი კონკრეტული საკითხის შესწავლა შესაძლებლობას მოგვცემს სრული წარმოდგენა შეიქმნას გარდამავალი პერიოდის ქართულში მიმდინარე ცვლილებების შესახებ, ამასთანავე ამ ხანგრძლივ პერიოდში ქვეეტაპთა გამოყოფის გზით ცვლილებათა ინტენსივობის დადგენაც მოხერხდება.

ნაშრომში მოცემულია ფორმათა ცვალებადობის ქრონოლოგია, წარმოჩენილია ცვლილებათა მიზეზები და დადგენილია, თუ სად გვხვდება პირველად ესა თუ ის ფორმა. ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა ზოგადი ენათმეცნიერებისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა: **სად, როდის, როგორ, რატომ** მიმდინარეობს ცვლილება (ე. კოსერიუ). საკითხის შესწავლისას ამ კითხვებზე პასუხის გაცემა წარმოადგენდა ჩვენს უმთავრეს ამოცანას.

I სერიის ფორმებმა მნიშვნელოვანი და მკვეთრი ცვლილება განიცადა. დაიკარგა ზოგიერთი მწკრივი, გაჩნდა ახალი, ჩამოყალიბდა ორი წრე, ზოგიერთმა ზმნურმა ფორმამ იცვალა ფუნქცია. ნაშრომში დანვრისებრითაა განხილული I სერიის ფორმობრივი და ფუნქციური ცვლილებანი და მოცემულია ამ ცვლილებათა ქრონოლოგია.

განალიზებული მასალა. როგორც ცნობილია, ცვლილება პირველად ზეპირ მეტყველებაში ვლინდება, ხოლო მოგვიანებით აი-

1620